ხელშეკრულება № 13

ქ.დუშეთი 27 სექტემბერი 2018წ.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „დუშეთის წყალი" (შემდგომში-შემსყიდველი),წარმომადგენელი მისი დირექტორი ილია მამულაიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „შალი" ს/კ 429321469, მისი დირექტორი ზურაბ შალიკაშვილის (პ/ნ 16001013344) სახით, შემდგომში (მიმწოდებელი), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია : CPV-50100000 სატრანსპორტო საშუალებ. და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება და ტექ.მომსახურება;

CPV- 50112100 - მანქანის შეკეთება.

მუხლი2.ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს სამუშაოს შესრულებას და ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით **1865(ერთიათასრვაასსამოცდახუთი ლარი)** ლარი.

მუხლი3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშწორება

3.1 შესრულებული სამუშაოს შესრულება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლობის მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშწორება ხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3 ანგარიშწორება განხორციელდება მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა)ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

ბ)გამოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

4.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურეობის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა)ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლოდ შესრულებული მომსახურეობა.

მუხლი5. გადასახადები და დაბეგვრა

5.1მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 6.სხვა პირობები

6.1 ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი სხვა საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

6.2 მხარეთა შორის მიმოწერა ხორციელდება ქართულ ენაზე.

6.3 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

6.4 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 31.12.2018 წ-მდე.

მიმწოდებელი: შპს „შალი" მის: დუშეთის თამარ მეფის ქ#28 ს/კ429321469 საქართველოს ბანკი ; ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა GE48BG0000000192116400 დირექტორი: ზურაბ შალიკაშვილი	შემსყიდველი: ა(ა)იპ "დუშეთის წყალი" მდებარე ქ.დუშეთი კოსტავას ქ#23;ს/კ 429324714; ბ/კ TRESGE22, სახელმწიფო ხაზინა ; ა/ა GE24NB0330100200116502 2 დირექტორი: ილია მამულაიძე